

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის გეოსტრატეგიები: აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ხმელთაშუა ზღვის კავშირის შედარებითი ანალიზი

ანი გელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ევროპისმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოლივერ რაისნერი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ანი გელაშვილი

09.07.2020

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონულ განზომილებებს, აღმოსავლეთ პარტნიორობასა და ხმელთაშუა ზღვის კავშირს. ნაშრომის მიზანია დაადგინოს ვილიამ ვოლტერსის გეოსტრატეგიული მოდელების მიხედვით რომელ გეოსტრატეგიებს შეესაბამებიან ეს რეგიონული ინიციატივები. ვოლტერსის გეოსტრატეგიების ოთხი ძირითადი მახასიათებლის მიხედვით, კვლევა მიზნად ისახავს, შეისწავლოს აღმოსავლეთ პარტნიორობა და ხმელთაშუა ზღვის კავშირი და მათ მიერ განვლილი ტრანსფორმაციული პროცესი. ნაშრომში მიმოხილულია აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ხმელთაშუა ზღვის კავშირის ფარგლებში არსებული თანამშრომლობის ძირითადი სფეროები, სამხრეთ და აღმოსავლეთ მიმართულებით არსებული საზღვრების ორგანიზების პრინციპები და სამომავლო ინკორპორაციის პერსპექტივები. ნაშრომი პირველად წყაროებს ემყარება და დოკუმენტების ანალიზის და შემთხვევების შესწავლის მეთოდის საფუძველზე ამ ორი პოლიტიკური ინიციატივის ჩამოყალიბების მოტივებსა და განვითარების ასპექტებს შორის განსხვავებებსაც ასახავს.

კვლევის შედეგები ნათლად მიუთითებს, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის რეგიონულ განზომილებებს რომელიმე კონკრეტული მოდელით სრულად ვერ დავახასიათებთ, თუმცა შეგვიძლია ვიმსჯელოთ შემდეგ ტენდენციის არსებობაზე: აღმოსავლეთ პარტნიორობა (აღმოსავლეთ განზომილება) “Colonial Frontier” მოდელიდან „March” ტიპის გეოპოლიტიკურ მოდელად ტრანსფორმირდება, ხოლო ხმელთაშუა ზღვის კავშირი (სამხრეთ განზომილება) ისევ “Limes” მოდელად რჩება.

მთავარი საძიებო სიტყვები: ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, აღმოსავლეთ პარტნიორობა, ხმელთაშუა ზღვის კავშირი, „Colonial Frontier”, “March”, “Limes”.

Abstract

The present thesis deals with the eastern and the southern regional dimensions of the European Neighborhood Policy, the Eastern Partnership (EaP) and The Union for the Mediterranean (UfM). Based on William Walters' geostrategic models, the thesis aims to assess which models these regional initiatives resemble. According to the four main dimensions of Walters' geostrategic models, the study compares the EaP and the UfM with a focus on the transformation process they have undergone since 2008. By applying methods of document analysis and case study, the thesis illustrates the differences between the motives for the formation of these two political initiatives as well as between the major aspects of their development. Therefore, the thesis reviews the main areas of cooperation within the framework of the EaP and the UfM, the principles of organizing the borders in the southern and eastern dimensions, and the prospects for future incorporation in the EU.

The results of the study suggest that these two regional dimensions of the European Neighborhood Policy cannot comprehensively be defined with just one geostrategic model. Nevertheless, they clearly reveal a geostrategic trend: The Eastern Partnership program has turned from "Colonial Frontier" model into "March", whereas, the Union for the Mediterranean remains as "Limes" program.

Keywords: European Neighborhood Policy, The Eastern Partnership, The Union For the Mediterranean, "Colonial Frontier", "March", "Limes".